№ 107 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაბათი, მაისის 15 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკის

(ცენტრო-ბანკის) გამგეობა ამით აცხადებს ბ.ბ. აქციონერების საყურადღებოთ, რომ თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა, ამა წ. 21 მარტიდან მეორე ნახევარი 50 პროცენტი—ხუთასი მანეთი თითო აქციაზე—შემოტანილი უნდა იქნეს ამა წლის 1—10 ივნისს:

ტფილისში—ცენტრობანკში. ქუთაისში, ბათუმში, სიღნაღში, ფოთში, სენაკში, სოხუმში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ჭიათურაში, ზუგდიდში, ხონში და გორში—საურთიერთო ნდობის ბანკებში.

შენიშვნა: თუ ვადაზე არ იქნა შეტანილი სრულად აქციების მეორე ნახევარი, თანახმად წესდების § 9, ხელის მომწერს გადახდება ბანკის სასარგებლოთ თითოეული ვადა გადაცილებულ დღისათვის 5% სარგებელი და 5% ჯარიმა წლიური ანგარიშის მიხედვით. შემდეგ ამისა ნომრები მოწმობათა, რომლის შესატანი ფულიც არ იქნა გადახდილი დანიშნულ ვადაზე, გამოცხადდება გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ორი კვირის შემდეგ დღიდან განცხადების დაბეჭდვისა, თუ შესატანი ფული მაინც არ იქნა შეტანილი, ბანკის გამგეობა მოვალეა შეუდგეს ამ ნომრების მოწმობათა გაყიდვას ბირჟაზე მაკლერის შემწეობით. შემდეგ ვადა გადაცილებული მოწმობანი გამოცხადებულ უნდა იქნას გაბათილებულად და ახალ შემძენთ უნდა მიეცეს ახალი მოწმობები იმავე ნომრებითა და აღნიშვნითა, რომ ეს მოწმობები ეძლევა იმათ ვადაზე გადაუხდელ მოწმობათა მაგიერ. გაყიდვისაგან ამონაგები თანხა ყველა ხარჯის, განსაზღვრული პროცენტის და ჯარიმის გამოკლებით გადაირიცხვის იმ შესატანის შესავსებად, რომელიც თავის დროზე არ იყო შეტანილი მოწმობათა უპირულ პატრონთაგან და რაც ამას შემდეგ დარჩება, ის უბრუნდება ამ პატრონებს. ფულის გადახდისათვის საჭიროა წარდგენილ იქნეს დროებითი კვიტანციები.

497 1—1

ცენტრობანკის გამგეობა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო

საზომ-საწონი პალატა

აცხადებს რომ ქ. ხაშურში 15 მაისიდან 1920 წ. იხსნება დროებითი პალატის განყოფილება, სადაც ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი ქ. სურამისა, ხაშურისა და ახლო მდებარე სოფლებისა ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ საზომები და საწონები პალატის რწმუნებულს სამი დღის განმავლობაში გადასასინჯავათ და დასადაღავათ. ამის შემდეგ ასეთივე განყოფილება გაიხსნება დ. გომში, სადაც ვალდებულნი არიან წარმოადგინონ როგორც გომის საზომ-საწონთა მეპატრონეებმა თავიანთი საზომები და საწონები აგრეთვე ქარელმა და ახლო-მახლო მდებარე სოფლებმა. ზემო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მოხდენილ იქნება რევიზია და ის პირები, ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, დაისჯება თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამ. წესით და ჩამოერთმევათ საზომ-საწონები. უნდა დაიდაღოს როგორც 1918 წლამდე დასმული დაღით, აგრეთვე სრულიად უდაღოები.

499 1—1

კავკასიაში ტყავისა და ჩულის წარმოების გ. გ. ადელხანოვის სააქციონერო საზ. გამგეობა

ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის ივნისის 13-ს დღის 12 საათზე, ტფილისის ვაჭართა ბანკის ბინაზე (თავისუფლ. მოედანი № 3) დანიშნულია ბ.ბ. აქციონერთა

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი.

2. საზოგადოების 1919 საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება და მოგების განაწილება.

3. საზოგადოების 1920 წლ. მოქმედების გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება

4. გამგეობის ერთი წევრის არჩევა იმის მაგიერ, რომელიც გამგეობიდან გამოდის, და გამგეობის წევრთა სამი კანდიდატის არჩევა.

5. არჩევა სარევიზიო კომისიის ხუთი წევრისა 1920 წლისთვის.

6. მიმდინარე საკითხები.

ბანკის პირველი გამოცემის ნამდვილი აქციები (№№ 1—6000), რომლებიც ხმის უფლებას აძლევენ საზოგადო კრებაზე, უნდა წარედგინოს საზოგადოების გამგეობას არა უგვიანეს 15 დღისა საზოგადო კრებამდე, რათა მათი პატრონების სახელი და გვარი იქნეს შეტანილი აქციონერთა სიაში. აქციების მაგივრად შეიძლება წარედგინოს გამგეობას იმავე ვადაში, მოწმობები აქციების დაწვრილებით აღნიშვნით, მიღებული სახელმწიფო და კერძო საკრედიტო დაწესებულებებიდან, სადაც ინახება ან დაგირავებულია აქციები. მეორე და მესამე გამოცემის დროებითი მოწმობების წარმოდგენა საჭირო არ არის, რადგან ეს მოწმობები, როგორც სახელობითი, აღნიშნულია ბანკის წიგნებში. აქციები, ან მათი მაგიერი მოწმობები მიიღება ყოველ დღე გარდა უქმისა საზოგადოების მთავარ კანტორაში, ვორონცოვის ქ., საკუთარი სახლი, ან ტფილისის ვაჭართა ბანკში და მათი მიღების ვადა თავდება ამა წლის მაისის 29-ს, დღის 1 საათზე.

500 1—1

ამიერ-კავკასიის ბანკი

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 25 მაისს დღის 12 საათზე ბანკის საწყობში, ტამოჟნის ქუჩა № 4, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სხვა და სხვა მანუფაქტურაზე. პირობები გამოცხადებული იქნება საჯარო ვაჭრობის დროს.

1061 3—1

განცხადება

კვირას, 16 მაისს, ტფილისის ქალაქის ცეცხლის მქრობელთა რაზმის ეზოში, ჟუკოვსკის ქუჩა № 4, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით რაზმის

ორი ცხენი

ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე.

506 1—1

ოფიციალური განყოფილება

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1919—1920 წლ. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

თანამდებობის პირნი და დაწესებულებანი.		თითოს. თვიურად.	თითოს. სამი ან ექვსი თვის განმავლობაში	ყველას. თვიურად.	ყველას. სამი ან ექვსი თვის განმავლობაში
კანცელარია:					
გამგე კანცელარიისა, რომელსაც წინეთ უნივერს. მდივანი ეწოდებოდა თვიურად-4.200 იღებდა, ყველა დეკრეტებით ძირითადიანად სულ-4.040 მ. მაშასადამე თვიურად ზედმეტი იანვრის 1-დან	1	160	800	160	800
საბჭო-გამგეობის საქმის-მწარმოებელი ახალი თანამდებობა, იანვრის 1-დან.	1	2300	11500	2300	11500
საქმის მწარმოებელნი:					
საექიმო ფაკულტეტისა დეკემბრის 1-დან	1	2000	12000	2000	12000
სამათემატიკო საბუნებისმეტ. ფაკულტეტისა დეკემბრის 1-დან	1	2000	12000	2000	12000
ბუჰალტერი იანვრის 1-დან	1	3000	15000	3000	15000[1])
მანქანით გადამწერი იანვრის 1-დან	2	1300	6500	2600	13000
ჯამი	—	—	—	—	64300
შენობისათვის საჭირო თანამდებობანი:					
საექიმო ფაკულტ. კლინიკების და შენობათა გამგეს იანვრის 1-დან	1	2500	12500	2500	12500
შენობის მეთვალყურის თანაშემწეს იანვრის 1-დან	1	2000	10000	2000	10000
მემანქანის თანაშემწ. დეკემბრის 1-დან.	1	2800	16800	2800	16800
შოფერს დეკემბრის 1-დან	1	2500	15000	2500	15000
სამკურნალო ფაკ. დაბალ მოსამსახურეს იანვრის 1-დან.	2	1225	6125	2450	12250
ჯამი	—	—	—	—	66500
სამეურნეო ხარჯი:					
საკანცელარიო	—	—	—	—	40000
ყოფ. სასულიერო სემინარიის შენობის შენახვა	—	—	—	—	300000
უნივერსიტეტის მთავარ შენობის ვალის გასასტუმრებლ.	—	—	—	—	600000
რაოდენობითი და აგრონომიული ქიმიის ლაბორ. ბინის ქირა	—	—	—	—	7000
ნორმალ. და ტოპოგრ. ინსტიტ. გასათბობად.	—	—	—	—	12000
გათბობა და განათება მთავარ შენობისა	—	—	—	—	316840
ავტომობილის შენახვა	—	—	—	—	60000
ჯამი	—	—	—	—	11335840
უნივერსიტეტთან არსებული სასანიტარო ბაქტერიოლ. და პასტერის ინსტიტუტი:					
პირადი შემადგენლობა.					
გამგეს ნოემბრის 1-დან	1	4200	29400	4200	29400
ასისტენტს ნოემბრის 1-დან	5	4000	28000	20000	140000
პრეპარატორს ნოემბრის 1-დან	4	2800	19600	11200	78400
ბუჰალტერს ნოემბრის 1-დან	1	2300	16100	2300	16100
იმავე პირს საქმის მწარმ.	—	700	4900	700	4900
გაზის ქარხნის მემანქანეს ნოემბრის 1-დან	1	2800	19600	2800	19600
მსახურს ნოემბრის 1-დან.	6	1225	8575	7350	51450
ჯამი	—	—	—	—	339850
სასწავლო სამეურნეო ნაწ.					
სასანიტარო ინსტიტ. ლაბორ. შესან.	—	—	—	—	150000
შენობის შესანახად	—	—	—	—	25000
ჯამი	—	—	—	—	175000
სამეურნ. საკანცელ. ხარჯი:					
ერთდროული:					
შენობების გაფართოვება, შეკეთება და ცხენებისათვის თავლის აგება	—	—	—	—	110000
დაზგის მოწყობა სისხლის გამოშვებისათვის	—	—	—	—	30000
5-8 ცხენის შესაძენად	—	—	—	—	160000

ყოველწლიური:					
საკანცელარიო ხარჯი	—	—	—	—	15000
ჯამი .	—	—	—	—	315000
სულ სასანიტარო ინსტიტ. ხარჯი	—	—	—	—	829850
დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის ჯამი	—	—	—	—	14324415

შენიშვნა: [1]) უქმდება უნ. მდივნის ზედმეტი თანამდებ. მასვე ბუხჰალტრ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

გრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა.

13 მაისი, 1920 წ., № 13.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია დაინიშნოს ამავე დეპარტამენტის დირექტორად.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

განკარგულება

იუსტიციის მინისტრისა.

30 აპრილი, 1920 წ., № 129.

ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს სიღნაღის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელად სიღნაღის მაზრის გადასახადთა ინსპექტორად ნამყოფი ლევან ბესარიონის ძე ქართველიშვილი ა. წ. მაისის 1-დან.

30 აპრილი, 1920 წ. № 130.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. აპრილის 29-ს დადგენილების ძალით დაინიშნა ქ. ტფილისის მე-10-უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ივანე ტიმოთეს ძე პოლმორდვინოვი ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ა. წ. მაისის 1-დან.

30 აპრილი, 1920 წ., № 131.

ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს ქ. ტფილისის მე 10-უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სვიმონ ფარნაოზის ძე ნათიშვილი ა. წ. მაისის 1-დან.

30 აპრილი, 1920 წ., № 132.

განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან და წარმოიგზავნოს იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში ლაგოდეხის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე გრიგოლის ძე გრიქუროვი ა. წ. მაისის 1-დან.

30 აპრილი, 1920 წ., № 133.

ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს ლაგოდეხის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად პეტრე მიხეილის ძე ფავლენიშვილი ა. წ. მაისის 1-დან.

30 აპრილი, 1920 წ., № 134.

ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს: ფოცხოვის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად შალვა ბაგრატის ძე ზედგინიძე არტანის უბნის გამომძიებლის დროებით მოვალეობის აღმასრულებლის დავალებით ა. წ. მაისის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

5 აპრილი, 1920 წ., № 115.

შეუდგეს თავის მოვალეობის აღსრულებას ფოთიდან დაბრუნებული საბაჟო ნაწილის საქმის მწარმოებელი იოსებ ბეჟანის ძე გუგუშვილი.

5 აპრილი, 1920 წ., № 116.

დაინიშნოს ტფილისის მთავარ საბაჟო ინსპექტორად ტფილისის მე-2-ე ნაწილის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ყარამან ნიკოლოზის ძე არდიშვილი ამა წლის 1 აპრილიდან.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ს. ავალიანი.**

არა ოფიციალური განყოფილება

საშინაო ცნობა

ტფილისი, 14 მაისი.

გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა. ყაზახის მიმართულებით ჩვენმა ნაწილმა მტერი მდ. ირჯა-სუმსაკენ უკუ აგდო. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პატარა შენიშვნები

ჩვენი ჯარი იმარჯვებს.

წითელი ხიდის რაიონში მტერს მეტად მნიშვნელოვანი პოზიციები ეჭირა. გარშემო მიუვალი კლდეები და თხრილები ჰქონდა შემოკრული. მანევრები შეუძლებელი იყო. მტრის რიცხვიც გაცილებით მეტი იყო ჩვენ ჯარზე და გვარდიაზე, მდგომარეობა სახიფათო იყო. ორ დღეს გასტანა თავგანწირულმა ბრძოლამ, რის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიჭირა მეტად სტრატეგიული ადგილები და მტერი უკუაქცია. მტრის დევნა გრძელდება. მტრის თავდაცემა ისე მოულოდნელი იყო, რომ ჩვენ ვერც კი მოვასწარით იქ საჭირო სამხედრო ძალების გადაყვანა. მტერი ქურდულად თავს დაეცა ჩვენ მოსაზღვრე მცირე რიცხოვან რაზმს და „გაიმარჯვა“, მაგრამ ვაი ამისთანა გამარჯვებას,—დღეს დავთარაბნეული მტერი ენერგიულად გარბის. მან ვერ გაუძლო ჩვენი სახელოვან გვარდიის და ჯარის გმირულად შეტევას, მას კიდევ არ სწამდა ქართველი მებრძოლის გმირული სული, მას არ ეგონა თუ ქართველ დემოკრატიის მკერდი ასე გაფთრებული, ლომის სიმძლავრით ეკვეთებოდა მტერს. მას იქნება იმედიც ჰქონდა, რომ როგორც კი დაინახავდა საქართველო თავის საზღვარზე მომდგარს „წითელ“ „საბჭოთა ადერბეიჯანის“ ჯარს, თავმდაბლად მას გაუღებდა ჩვენი სახელმწიფოს კარებს, სწორედ ისე, როგორც თვითონ მან მოიმოქმედა, მაგრამ მოსტყუვდა, სასტიკად მოსტყუვდა, უბადრუკი მტერი.

დაავიწყდა უსუსურს, რომ ქართველმა დემოკრატიამ დიდი ხანია დაჰგმო ჩრდილოეთის წითელი ფერი ბალშევიზმის სახით; მაგრამ იქნებ ის იყო მისთვის ყველაზე უფრო მოულოდნელი, რომ არ მოელოდა, თუ ასე ადვილად შეურიგდებოდა საქართველოს საბჭოთა რუსეთი, რომლის ტაქტითაც ვითომ დღეს ადერბეიჯანის „დემოკრატია“ მოქმედობს. მაგრამ აქაც ამოუვალ უფსკრულში გადიჩეხა. დღეს მტრის მდგომარეობა მეტად მძიმეა,—მან არ იცის ხვალ მას, რომელი ახალი ფერის ბატონი დაეპატრონება, არ იცის ვის საწყველ ფურად დარჩება სამუდამოთ, არ იცის... მაგრამ კმარა... მართალია ვწერთ სიამოვნებით ჩვენი ჯარის გამარჯვების შესახებ, აღვნიშნავთ მოწინააღმდეგის მიერ მისთვის გადადგმულ შემცდარ საბედისწერო ნაბიჯებს, მაგრამ გული მაინც მწუხარებით გვევსება, რადგან გვეცოდება საწყალი ადერბეიჯანის ხალხი; არა, ვისთვის, ან რისთვის იყო საჭირო ეს უმგზავსო ავანტიურა, რა საჭირო იყო სისხლის დაღვრა? დეე, ამ კითხვაზე პასუხი გასცენ ისტორიას თვითონ მათ, რომლებსაც სისხლში აქვთ გასვრილი ხელები, რომლის წყალობითაც სამუდამოთ მტრობა ჩამოვარდა ორ მეზობელ ერთა შორის. ჩვენი გმირი ჯარი და გვარდია კი მანამ განაგრძნობს მტრის დამარცხებას, სანამ მტერი საზღვრებით არ მოტყდება წელში, სანამ ჩვენი საზღვრები სრულიად უზრუნველყოფილი არ იქნება ამ ნახევრად ველურ ურდოების თავდაცემისაგან და არც შორს არის ეს დრო—კიდევ ორი ასეთი გამარჯვება და მტერი ჩაკვდება. ჩვენი ჯარისა და გვარდიის ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებანი კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს ჩვენს მტერსა და მოყვარეს, რომ საქართველოს დემოკრატიას სხვისი არაფერი სურს, თავისას კი უსიკვდილოთ არავის დაუთმობს. ის სამაგალითოდ აჩვენებს ყველას თუ როგორ უნდა თავდაცვა, თავისუფალ სამშობლოს მოვლა-პატრონობა.

დამფუძნებელი კრება

11 მაისის სხდომა. (გაგრძელება)

შ. ნუცუბიძე (სოც.-ფედ.) აღნიშნავს, რომ ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო რუსეთის და საქართველოს შორის ეს არის შედეგი ქართველი ერის შეერთებულ ენერგიისა. ქართველმა ერმა მტკიცეთ გამოხატა თავისი ნებისყოფის გადაწყვეტილება—დამოუკიდებლობის დაცვის საკითხში. როდესაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხე მოელოდა, ქართველმა ხალხმა აღრფთოვანებით აიღო ხელში იარაღი. დღეს, როდესაც საკითხი რუსეთთან ზავის შესახებ დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, ჩვენ წინ ხელახლათ ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირობების და მიზეზების გამო დავსწილდით რუსეთს და რა პირობებში შეგვიძლიან შემდეგ ურთიერთობის გამტკიცება. ჩვენი დაშორება რუსეთისაგან არ იყო ნაკარნახევი ეროვნული სიძულვილით და ის გარემოება, რომელიც აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ თავის დეპეშაში, რომ მთელი ქართველი ერი აღფრთოვანებით შეეგება რუსეთთან ზავს, ის სულიერი კმაყოფილება, რომელსაც ადგილი აქვს უტყუარი მაჩვენებელია იმ ფაქტისა, რომ ჩვენი დაშორება რუსეთისაგან არ იყო ზოოლოგიურ ნაციონალიზმზე დამყარებული. ჩვენი ჩამოშორება არ იყო აგრეთვე შედეგი პოლიტიკური გეგმის, გზისა და პროგრამის სხვაობისა. რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში ორი დიდი მომენტი თამაშობდა გადამწყვეტ როლს. ეს იყო მომენტი ეროვნული და სოციალური. ორი დამონავებული ჯგუფები ლამობენ უფლების მოპოვებას და იმ შეცდომის გასწორებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ წარსულში. ერი და კლასი უნდა განთავისუფლებულიყო. რუსეთის რევოლიუციაში ერი და კლასი, როგორც ფორმა სოციალურ შეჯგუფების ერთი მეორეს გადაენასკვა, ერთი მეორეს გადაეღობა. რუსეთის რევოლიუციამ ვერ შესძლო ამ ორი საკითხის შესაფერ კალაპოტში ჩაყენება და ერთი მეორეს დაუპირდაპირა ეს ორი ძალა. რუსეთის რევოლიუციას ჯერ უნდა გაენთავისუფლებინა ერები და ეს იქნებოდა პირობა კლასის განთავისუფლებისა. ამას რუსეთის რევოლიუციის მესვეურებმა ვერ აუღეს ალღო და ამან შეჰქმნა ის ურთიერთობა, რომელიც იყო საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის. ბალშევიკები ფიქრობდენ, რომ ერთი მიზნისაკენ სვლა შესაძლებელია მაშინ, როცა ყველა ერები, რომლებიც რუსეთის ფარგლებში ცხოვრობდენ და დარჩებოდენ იმავე ფარგლებში და საერთო გეგმას მიიღებდენ. ამას კი ჩვენ დაუპირდაპირეთ ის, რომ ჯერ ერები უნდა განთავისუფლდენ, როგორც განსაკუთრებული ფორმა სოციალურ ცხოვრებისა და ამის შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი ოფიციალურ გარდაჰქმნის შესახებ. ორატორი ეხება ადერბეიჯანის აგრესიულ მიზნებს და ამბობს, რომ ჩვენთვის აუცილებელია ვიცოდეთ, რით აიხსნება: რუსეთი ჰკრავს ჩვენთან ზავს და მისი მოკავშირე ადერბეიჯანი ჩვენ გვეომება. საჭიროა უზრუნველვჰყოთ ჩვენი თავი ბუნებრივი საზღვრებით. შემდეგ ორატორი ეხება რა ბათუმის საკითხს აცხადებს, რომ იგი დაუყონებლივ უნდა გადაეცეს საქართველოს, ქართველი ხალხი შესძლებს თავის საკუთარ ძალებით მის მოვლასო. ამ ხელშეკრულებას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. ეს არის ის, რომ ყველა ძალები, რომლებიც ჩვენთან მოდიან სამშვიდობოთ ჩვენ მათთან ხელშეკრულებას დავდებთ. მაგრამ, თუ იქნება ისეთი ძალა, რომელიც არ მოისურვებს მშვიდობიან მიზნით მოსვლას, ჩვენ მას იარაღით შევეგებებით (ტაში).

გვ. ზავა (ნ.-დ.). ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ჩვენი ეროვნული გამარჯვება. მართალია, ბალშევიკები ევროპის სახელმწიფოების მიერ არ არიან ცნობილნი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბალშევიკები ფლობენ რუსეთს მაშინ მათ მიერ ჩვენთან დადებულ ზავის დიდი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. რუსეთმა იცნო დამოუკიდებლობა იმ საქართველოსი, რომელსაც თითონ ფლობდა, ამით წინასწარ სწყდება სხვა სახელმწიფოების მიერ ჩვენი ქვეყნის იურიდიულად ცნობის საკითხი.

შინგან საქ. სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა ერობების გამგეობას.

დამფუძნებელ კრების დადგენილებით 11 მაისი 1920 წლ., ერობებისათვის სესხის მისაცემათ გადაიდო რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში 10.000,000 მან.

რომ სესხი მიიღონ ერობებმა საჭიროა:

1. ხარჯთ.აღრაცხვა წარსული და მომავალი წლისა (ნაჩვენები უნდა იქნეს დეფიციტი).

2. რა და რა საწარმოო დარგი აქვს ერობას (აფთიაქი, სავაჭრო და სხვა).

3. რისთვის ესაჭიროება სესხი. (თუ სესხი ესაჭიროება რომელიმე საწარმოო დარგის მოსაწყობად ან გასაფართოვებლად ხარჯთაღრიცხვა ცალკე უნდა იქნეს).

4. რამდენი მიიღო ერობამ მაწის ერთდროული გადასახადიდან. აღნიშნულ მასალასთან ერთად ერობის გამგეობამ განმარტებითი ბარათით უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

შრომის სამინისტროში

ანგარიშის ახალი წიგნაკები.

შრომის სამინისტრომ გამოსცა ანგარიშის ახალი წიგნაკები მუშა-მოსამსახურეთათვის. არა უკვიანეს ამა წლის 1 ივნისის კრძო, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა უფროსები და დამქირავებელნი, ვალდებულნი არიან შესცვალონ მუშა-მოსამსახურების ძველი წიგნაკები ახალზე. ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, პასუხის გებაში იქნება მიცემული შრომის კომისრის მიერ.

საანგარიშო წიგნაკის მისაღებათ საწარმოოთა პატრონებმა უნდა მიმართონ კომისრებს და რწმუნებულებს და გადაიხადონ 10 მან. თითეულ წიგნაკზე. წიგნაკების გასაგზავნათ კომისრებმა და რწმუნებულებმა უნდა მიმართონ შრომის სამინისტროს სათანადო თანხის გადაგზავნით. ზემოთ აღნიშნულის შესახებ, კომისრებმა და რწმუნებულებმა თავის დროზე უნდა აცნობონ დამქირავებლებს თავის რაიონში.

იუსტიციის სამინისტროში

მისაღები საათები სამინისტროში.

იუსტიციის მინისტრი იღებს მთხოვნელებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით 12 საათიდან 1 საათამდე, თანამდებობის პირთ ყოველ დღე 11—12 საათამდე. დეპარტამენტის დირექტორი იღებს მთხოვნელებს ყოველ დღე 12—1 საათამდე. თანამდებობის პირთ ყოველ დღე დილის 9—10 საათამდე.

საპყრობილეების დათვალიერება.

კვირას, მაისის 9-ს, იუსტიციის მინისტრმა რ. მ. არსენიძემ და დეპარტამენტის დირექტორმა გ. თ. ჟორდანიამ დაათვალიერეს ტფილისის საპყრობილეები. მინისტრის ყურადღება მიიქცია, სხვათა შორის, იმ გარემოებამ, რომ საპყრობილეთა ზედამხედველებს და სხვა მოხელეებს ჯეროვანი ტანისამოსი არ აცვიათ და ჯამაგირიც თავისს დროზე არ ეძლევათ. ამიტომ დათვალიერების შემდეგ მეორე დღესვე სასტიკი განკარგულება იქმნა გაცემული საპყრობილეთა ნაწილისადმი, რათა ზედამხედველებს შესაფერი ტანისამოსი მიეცეთ და ჯამაგირიც ყველა მოხელეებს დაუბრკოლებლივ ეწერებოდეს ყოველ თვის 20-ს რიცხვში.

გადამსინჯავი კომისია.

მომქმედ კანონმდებლობის გადამსინჯავ კომისიის თავმჯდომარის ამხანაგობა (თავმჯდომარეობს კომისიაში თვით იუსტიციის მინისტრი) დაევალოთ ნაფიც ვექილს დ. ჯაფარიძეს (სამოქალაქო ნაწილი) და სასამართლო პალატის წევრს ლ. ა. კრასნიხს (სისხლის სამართლის ნაწილი).

კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წიგნთსაცავი.

იუსტიციის სამინისტრომ ჩაიბარა წიგნთსაცავი ყოფილ კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა, რომელიც რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით გაუქმებულად იქმნა ცნობილი.

უცხოეთი

კუნძული კიპროსი.

კუნძულ კიპროსის ნაციონალური დელეგაცია, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ლონდონში—შუამდგომლობს კუნძულ კიპროსის საბოლოოდ შეერთებას საბერძნეთთან.

ინტერნაციონალური ფინანსიური კონფერენცია.

როგორც ლონდონიდან იტყობინებიან მაისის დამლევს ქალაქ ბრიუსელში შესდგა ინტერნაციონალური ფინანსიური კონფერენცია. კონფერენციის მიზანია გამოარკვიოს დღევანდელი საერთაშორისო ფინანსიური კრიზისი. როგორც ამბობენ კონფერენციაზე ოცდა ხუთი ეროვნების წარმომადგენელნი ყოფილან მიწვეულნი.

გერმანიის ახალი გარ. საქ. მინისტრი.

გერმანიის მთავრობის ახალ კაბინეთში გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი ჩაბარეს ცნობილ სოც.-დემოკრატს ექ. ადოლფ კესტერს.

კანადა და სომხეთი.

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ ინგ-

ლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა კანადას წინადადება მისცა, რომ მან სომხეთზე მანდატი მიიღოს.

კილიკია და სირია.

გაზეთ „სტამბულის“ გადმოცემით კილიკიას და სირიის საკითხი გადასწყდება საფრანგეთ-ინგლისის დელეგატების მოლაპარაკების შემდეგ.

პორტო-ფრანკო.

ათინიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირე სახელმწიფოებსდაუდგენიათ საერთაშორისო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისთვის პორტო-ფრანკოდ გამოაცხადონ შემდეგი ქალაქები: კონსტანტინოპოლი, ჰაიდარ-ფაშა, სმირნა, ბათუმი, იაფფა, ალექსანდრეტტა, ბასრა და დედე-აგაჩი.

ასპინძის ბრძოლის 150 წლის თავი

1770 $\frac{20}{IV}$ 1920

(გაგრძელება).

აქ საგულისხმოა აღინიშნოს მორიგე ჯარის შესახებ აზრი თანამედროვის ისტორიკოსის პ. გ. ბუტკოვისა, რომელიც თავის „მასალები კავკასიის ახალი ისტორიისა“-ში სწერს ამას:

„მეფე ერეკლემ გააუქმა ნოქარი, მოაწყო 1773 წელს (?) ავარიის ხანის დამარცხების შემდეგ, სხვა ლაშქარი, სახელით მორიგე, ამა საფუძველსა ზედა, რომ მცხოვრებმა, რომელსაც აქვს მიწა, ხვნა-თესვა, მებაღ-მევენახეობა და მიწისაგან სხვა წარმოება, ქართველთაგანმა, სომეხმა თუ თათართაგანმა, წელიწადში ერთი თვე იმსახუროს საქართველოს საზღვრებში, მეფისაგან დანიშნულ ადგილას. ერთ რიგობისას მოიკრიბებოდა 5.000 კაცი თავადებისა, ათასის თავებისა, ხუთასის თავებისა და ასისთავების ხელქვეითა თავადები მსახურობდნენ თვიურად. სხვა მოხელენი—უვადოდ და ჯამაგირს იღებდნენ ხაზინიდან. ეს ჯარები ზოგი იყო ცხენოსანი, ზოგი ქვეითი, ყველა თავის ხარჯით. მეფე იქ აყენებდა მათ, საცა საჭიროება მოითხოვდა. მიხედულებისამებრ საჭიროებისა შეაერთებდა ორს და სამ რიგობას (მორიგეს) და ამას ჩაუთვლიდა ხოლმე მშვიდობის დროს. რომ ქვეშევრდომებში აღეძრა ერთგულება დასაცველად მამულისა, ერეკლე თვითონ წელიწადში თითო თვეს რჩებოდა სახმალავში (ყარაულში). მის მაგალითს ჰბაძავდნენ მისი შვილები, მეტადრე მეომარი ლეონი, რომელმაც ამ მორიგეთი თითქმის გაწმინდა ქვეყანა თავხედ მთიელთა მძარცველობისაგან“.

ოსმალეთის პირველ ომის დასრულების შემდეგ გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტემკინ-თავრიდელი დაინიშნა მეფის მოადგილედ ნოვოროსიისა, აზოვისა და ასტრახანის და თან გადასწყვიტეს რუსთა ახალშენებით მოეფინათ ჩრდილოეთი კავკასია. საკმაოდ გაადიდეს სამხედრო ძალებიც, თან ააშენეს მთელი რიგი სიმაგრეებისა, რომელთაც შეადგინეს ეგრედ წოდებული კავკასიის წრე. ნელნელა ამ წრეზე დაესახლა ყაზახობა; მთის მცხოვრებთ ასახლებდნენ ადგილებიდამ. თუმცა ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის მესამე მუხლის ძალით ყირიმისა და ყუბანის თათრების ყველა ტომები ცნობილ იყვნენ დამოუკიდებლებად, მაგრამ როგორც ოსმალეთი, ისე რუსეთი ლამობდნენ ამ სამფლობელოების დასაკუთრებას. შემდეგ მედგარ ბრძოლისა წინააღმდეგ თათრებისა და ნოღაელებისა, შემდეგ საკმაო ძალებით გადალაშქრებისა ოსმალები იძულებულ იქმნენ დაეტოვებინათ აზრი ყირიმის შეერთებისათვის, ნოღაელები კი საბოლოოდ დაიპყრო სახელოვან სუვოროვმა. 6 აპრ. 1783 წლის მანიფესტით ყირიმი შეუერთეს რუსეთს და იგიც დაემორჩილა თავის ბედს.

პოლიტიკური მდგომარეობა კავკასიისა, ოსმალეთსა და სპარსეთში ეწყობოდა ისე, რომ საჭირო გახდა საქართველოს საბოლოოდ გამოერკვია თავისი დამოკიდებულება რუსეთთან. რუსების სწრაფი მსვლელობა სამხრეთისკენ ოსმალებისა და სპარსთა შორის ბადებდა შიშს და იგინი თავის ჯავრს დაკარგვისათვის პროვინციებისა და გავლენისა ყრილობდნენ ქართველებზე. ეხლა დადგა ჟამი, როდესაც საქართველოს უნდა გამოერკვია: სწადია რუსეთს აღმოუჩინოს მას შემწეობა, თუ საქართველომ ისევ ძველებურად კეთილმეზობლური დამოკიდებულება უნდა იქონიოს სპარსეთთანა და ოსმალეთთან. ამ აზრით როგორც ერეკლემ; ისე სოლომონმა რუსის მთავრობას მოსთხოვეს ცხადი პასუხი. ამას გარდა, ერეკლემ, თავის გულითადი სურვილის განსახორციელებლად შესახებ სამხედრო ძალთა ევროპიულ ყაიდაზე მოწყობისა მიჰმართა, 1781 და 1782 წლებში, რომის იმპერატორს იოსებს. ეს წერილები გაგზავნეს ტფილისში მყოფ კათოლიკე პატრებმა დომინიკემ და მაგროსმა. ერეკლე, იხსენებდა რა, რომ რომის იმპერატორი ოსმალეთს უცხადებს ომს, ჰპირდებოდა დახმარებას, რომ ერთდროულ მოქმედებით საქართველოს მხრივ დაამარცხებდა საერთო მტერს. იგი სთხოვდა ფულით დახმარებას მოსაწყობად საქართველოში მუდმივ ჯარისა ევროპიულ წესზე. პირი ამ წერილებისა ერეკლემ გაუგზავნა ეკატერინეს.

რუსის მთავრობას საზრუნავად გაუხდა, რომ ქართულ კითხვას ასეთი მიმართულება მიეცა; იგი შიშობდა, რომ კავკასიაში მისასევ პოლიტიკას მიეცემა არსებითი ვნება, ამიტომ ეკატერინემ ბრძანა განეხორციელებინათ რუს-ქართველთა პირობა, გაგზავნილი ერეკლეს მიერ ისევ 1773 წელს საელჩოს ხელით და მოთავეობით მეფის ძის ლეონისა და კათალიკოზის ანტონისა. მაშინ ეკატერინემ უარჰყო ეს პირობა. დღეს კი, უბრძანა რა ბეზბოროდკოს და პოტემკინს დაეჩქარებინათ ეს საქმე, ეკატერინე ავალებდა მათ „დაედოთ საქართველოს მეფეებთან საკავშირო ტრაქტატი, იგინი არ მოეხსენებინათ ქვეშევრდომებად, არამედ მოკავშირეებად და რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფებად.

(შემდეგი იქნება)

ერობა

უკანასკნელი დადგენილებანი: დაევალოს აგრარულ რეფორმათა განყოფილებას სისრულეში მოიყვანოს ერობათა კავშირის კომიტეტის დადგენილება ერობების მიერ ფონდში გადასულ მიწების შეყიდვის შესახებ.

ეცნობოს ერობათა კავშირს, რომ ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა თანახმაა გადასცეს მას ყოფილი ქუთაისის საგუბერნიო სტამბა იმ პირობით თუ სტამბა დარჩება ქ. ქუთაისში და აუნაზღაურდება ქუთაისის ერობას ის ხარჯები, რომელიც მან გაიღო ამ სტამბაზე უფლების აღდგენის და მისი ძველი ვალის გადახდით და შტატების შენახვით.

გაიგზავნოს ქ. სოხუმში ერობის რწმუნებული სიმინდის შესაძენად. წინადადება მიეცეს თემებს შემოიტანონ განსაზღვრული თანხა სამაზრო ერობაში ფონდის შესადგენათ, რითაც შესაძლებლობის ფარგლებში შესყიდული იქნება სიმინდი, რომელიც დაურიგდება მათ იმ რაოდენობით და იმის მიხედვით, თუ რომელმა თემმა რამდენი შემოიტანა სიმინდის შესაძენად. დაეგზავნოს თემებს განკარგულებანი, რათა მათ აწერონ მცხოვრებთა შორის თუ ვის რამდენი სიმინდი აქვს, ვისაც ნორმაზე მეტი ექნება აიწეროს რაოდენობის აღნიშვნით და წინადადება მიეცეს მათ პატრონებს რომ ახალ განკარგულებამდი სიმინდი არ გაყიდონ და თან იქონიონ. ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა დაევალოს სათემო ერობის გამგეობას და საერთოთ ამ საქმის მოგვარება მიენდოს გამგეობის წევრს ალ. ჰაპავას.

მიეცეს ნება აგრარულ რეფორმათა განყოფილებას დაურიგოს დასათესად ღალის სიმინდი ვისაც არ აქვს საშუალება სიმინდი დათესოს იმ პირობით, რომ უკანასკნელებმა უნდა დაუბრუნონ ეს სიმინდი აგრარულ რეფორმათა განყოფილებას მის მიერ დანიშნულ ვადაში.

რადგანაც მოიჯარადრე სოლომონ ნადირაშვილმა კეთილ სინდისიერათ შეასრულა თავისი დავალება მიეცეს მას მუყაითი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის ჯილდოთ ოცდა ხუთი ათასი მანეთი.

განათებულ იქნას ერობის ბინა მ. ლალიძის ელექტრონის სადგურის საშუალებით.

გამოეცხადოს მადლობა საოფთიაქო განყოფილების თანამშრომლებს მათი კეთილ სინდისიერი მუშაობისათვის. დაევალოს მათ კომისიის შესწორებით შეიტანონ სათანადო წიგნებში გასული წლის ანგარიშები.

მოუერილი ამგები

აღბულაღის და ასურეთის რაიონები

ტფილისის მაზრის ერობის გამგეობის წევრი ი. ა. ექ. ლომოური, რომელიც გაგზავნილი იყო აღნიშნულ რაიონებში, მიმდინარე მომენტის გამო. აღბულაღის და ასურეთის რაიონებში მცხოვრებთა სულიერ განწყობილობას ასე აგვიწერს: დღევანდელ მომენტს მთელი მცხოვრები დიდი თანაგრძნობით და ყურადღებით ეპყრობა. საერთო გარდაწყვეტილება და მტკიცენების ყოფა ატყვია ხალხს. მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან ადერბეიჯანის ღალატის გამო და ბალშევიკურ ბანდების გამოლაშქრებით. ასურეთში შესდგა დიდი მიტინგი, სადაც ხალხი ერთხმად გამოსთქვამდა თავის სიძულვილს კარზე მომდგარ მტრების წინააღმდეგ. ასურეთის თემის ხმოსანთა ყრილობამ მიმდინარე მომენტის გამო გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობა გაეცნო რა, ამხანაგების მოხსენებიდან ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობის მოქმედებას, იმის შესახებ, რომ მან ვერაგულად ჩასცა გულში მახვილი თავის დემოკრატიას და შემოუშვა ქ. ბაქოში ბალშევიკების ბანდები წითელ არმიელის სახით; ყრილობა ერთხმად უცხადებს ადერბეიჯანის მთავრობას ზიზღს მისი დემოკრატიის გაყიდვისათვის და იწონებს რა ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ამ მოვლენის წინააღმდეგ, ყრილობა აღუთქვამს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას, რომ უკანასკნელი წვეთის სისხლამდის დაიცავენ ყოველივე გარეშე და შინაური მტრებისგან, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ინტერესებს“. ასეთივე რეზოლიუციები და გარდაწყვეტილებანი გამოიტანეს: ასურეთის კოლექტივის პარტიულმა ყრილობამ, აღბულაღის რაიონების ახლო მახლო მდებარე სოფლების მიტინგებმა, დიდი ირაგამ (სადაც მომეტებული წილი ბერძნები არიან) დაგეთ-ხაჩინმა (სომხების მოსახლეობაა უმრავლესობა).

სათემოებში დიდი მოთხოვნილებაა პროპაგანდისტების გაგზავნისა, რომელნიც მცხოვრებთ აუხსნიან მიმდინარე მომენტის მნიშვნელობას და მთავრობის მიზან-შეწონილ პოლიტიკის წარმოებას.

აქაური მცხოვრებნი მოითხოვენ ტყის დეკრეტის 5 დეკ. 1919 წ. დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარებას.

ადგილობრივი მკვიდრნი კარგ განწყობილებით ვერა ხვდებიან გადმოსახლებულ მცხოვრებთ, რომელნიც მთავრობის განკარგულებით ერთ შეჯგუფებულ ადგილებიდან, სადაც მცხოვრებნი ვიწროობას განიცდიან უნდა გადასახლდნენ ფართო დაუსახლებელ ადგილებში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა ნაკლებია და საცხოვრებელი მიწა კი დიდია. ხალხს ეს გადმოსახლება ჰგონია, რომ მათ ინტერესების წინააღმდეგ იყოს მიმართული, მაგრამ ეს გადასახლება გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოს შეძლება მიეცეს მიწის ნორმა უკლებლივ და სწორედ გაატაროს.

მობილიზაციამ ამ რაიონებში მშვენივრად ჩაიარა. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა გამოცხადებულ მობილიზაციას.

მოსავალს პირი კარგი უჩანს. თითქმის ყველა მიწები დახნულია. იმისთანა შემთხვევაც კი არის, სადაც გზებიც კი მოხნულია.

მცხოვრებნი დიდი ნდობით ეპყრობიან რესპუბლიკის მთავრობას. ბევრი მათგანი დიდი თაყვანისცემით იხსენიებს ქართველი ხალხის ბელადს ნოე ჟორდანიას. „მოიყვანეთ ერთი გვაჩვენეთ ჩვენი ქვეყნის მხსნელიო“ და ამას ამბობს ხალხი სრულიად გულწრფელად და სამშობლოს სიყვარულის შეგნებით.

ბ.

თავდაცვისათვის

ქუთაისი.

ქუთაისის ქალაქის საბჭო თქვენი სახით, ნოე ნიკოლოზის ძევ, ესალმება იმ მთავრობას, რომლის გონიერმა პოლიტიკამ არა ერთხელ დაიხსნა ქართველი ერი განსაცდელიდან. უკანასკნელადაც ბალშევიკებთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებით თქვენ ქართველ ერს ბრწყინვალე გამარჯვება არგუნეთ. გვჯერა ის ერი, რომელსაც თქვენ ბელადობთ და მეთაურობთ, დაუძლეველია. ჩვენგან ძმური სალამი მიუძღვენით ჯარს, გვარდიას და უთხარით, რომ როდესაც ისინი ხმალ ამოწვდილი საქართველოს მტერს შეეჭიდებიან, სახლზე და ცოლ-შვილზე ნუ იფიქრებენ, ჩვენ მათ არაფერს გაუჭირვებთ.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე

სამსონ კილაძე.

ახალი ამბები

◆ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კოკისიასთან არსებული 26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისია, სთხოვს მობრძანდნენ ყველა იმ პირთ, ვინც ამ დღესასწაულის მომწყობ კომისიაში მონაწილეობას ღებულობს: საქართველოს რკინის-გზელთა, სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდის, სახალხო გვარდიის კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებისა, დრამატიულ საზოგადოებისა, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოსი, ქართული კლუბისა, ქართველ მხატვართა, მწერალთა კავშირისა, სახელმწიფო თეატრისა, ქალაქთა და ერობათა კავშირების და სხვათა წარმომადგენელნი ამა თვის 15-ს, საღამოს 6 საათისთვის სასახლის დარბაზში.

◆ ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში მიემგზავრება საგანგებო კომისია რაფ. რამიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც იგზავნება ბორჩალოს მაზრაში შეიარაღებულ ქვეშევრდომთაგან ერბოსი და ყველის ქარხნების მისაღებად.

◆ პრეს-ბიუროს მიღებულ ცნობებით ალექსანდროპოლის ბალშევიკების გამოსვლა სომხეთის მთავრობის მიღებულ ზომებით შეჩერებულია და ყოველგვარი ამბოხებაც ჩაქრობილი.

◆ ფოთში იხსნება რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის („ცენტრო საიუზის“) საagენტო.

◆ საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს საფონდო განყოფილების დირექტორის განკარგულებით საფრანგეთში იღებენ უცხო ქვეყნის ვალიუტის ღირებულებას.

◆ 26 მაისს საღესასწაულო კომისიის სამუსიკო ნაწილის ვამკე კ. ფოცხვერაშვილი იწვევს ტფილისში მომქმედ ორკესტრებს და მომღერალთა ჯუნდებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ 26 მაისის დღესასწაულში 20 მაისამდის განაცხადონ თავისი სურვილი და წარმოადგინონ მომღერალ-დამკვრელთა სია სახელმწიფო თეატრის კანტორაში, რათა ამ თავითვე გამოირკვეს საერთო სამუსიკო ანსამბლის რაოდენობა და საზეიმო პროგრამის ხასიათი.

◆ „პტი ჟურნალის“ გადმოცემით დაღუპულ „ლუზიტანის“ ამოსაღებად ირლანდიის ზღვაზე მუშაობა სწარმოებს. როგორც გადმოგვცემენ ახლო მომავალში „ლუზიტანის“ ამოღებას უსათუოდ მოახერხებენ.

◆ მთავრობის სხდომაზე 8 მაისს დამტკიცებულ იქნა თავდაცვის საბჭოს დადგენილება, რომ რესპუბლიკის ყველა რკინის გზებზე და ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე გამოცხადდეს სამხედრო წესები მათი ქ. ტფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორისათვის დაქვემდებარებით.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან შესდგა საგანგებო კომისია საქართველოს საკურორტო საქმის მოსაწყობად.

◆ ბოტანიკურ ბაღის კანცელიარია, რომელიც მოთავსებული იყო მიწათ-მოქმედების სამინისტროში გადატანილ იქნა ბოტანიკურ ბაღში.

◆ 13 მაისიდან ტფილისიდან ყარაკლისამდე მიმოსვლა განახლდა.

◆ 13 მაისს ტფილისის ჟურნალისტთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის სხდომაზე გამგეობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ანინი. თავმჯდომარის ამხანაგებად დ. დუმბაძე და ლ. ყიფიანი. მდივნად კროტკოვი, ხაზინადრად ბუქშტეინი.

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების წლიური კრება შესდგება ოც ივნისს.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს დაავალა სასწრაფოდ მოაწყოს სიღნაღის მაზრაში გაჩენილ ვაზის მავნებელ ჭიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიზნისთვის მიწვეულ იქნებიან ადგილობრივი საზოგადოებანი, ერობა, მევენახეთა და მეღვინეთა საბჭო, კოოპერატივის საზოგ. „კახეთი“ და სხვანი მონაწილეობის მისაღებად საამისოდ შემდგარ ორგანიზაციაში. სამინისტრო ამ მტერთან საბრძოლველად მიაწვდის პარიზის ფხვნილს თავის ფასად.

◆ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის საექიმო-სასანიტარო განყოფილება ამით აუწყებს ბ. ბ. ექიმებსა და სამკურნალო დაწესებულებებს, რომ ქალაქთა კავშირის ცენტრალურმა ბაქტეროლოგიურმა ლაბორატორიამ (სერგის ქ. № 4) მიიღო პარიზის ინსტიტუტისაგან სრულიად ახალი (სტრენტოკოვკისა და პნეიმოკოვკის) ფილტვებში სხვადსხვა ტიპის პნეიმოკოკებით გამოწვეულ გართულების წინააღმდეგ შრატი. ამას გარდა მიღებულია აგრეთვე სამკურნალო და სადიაგნოსტიკო მიზნისათვის საჭირო ტუბერკულინი.

◆ წითელი ჯვრის მთავარ სამმართველოს მიერ გაიგზავნა ფრონტზე მყოფ მეომართათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად წითელი ჯვრის სასანიტარო-სადეზინფექციო მატარებელი და ერთი მოძრავი საექიმო რაზმი.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის მთავარ რწმუნებულად ლტოლვილთა და მზრუნველობის საქმეებზე დაინიშნა ამავე საქმეების ვიცე-დირექტორი ვ. ნ. მგალობლიშვილი.

რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების დადების გამო შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით საპატიმროდან გაანთავისუფლეს ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებული კომუნისტები. ყველა ის კომუნისტები, რომელნიც წინააღმდეგ საზავო ხელშეკრულებისა არ სცნობენ საქართველოს დამოკიდებლობას და დემოკრატიულ წყობილებას, და სიტყვით თუ საქმით განაგრძობენ მოქმედებას ჩვენში საბჭოთა მთავრობის დასამკვიდრებლად განდევნილ იქნებიან. რესპუბლიკის საზღვრებიდან.

◆ კონსტანტინეპოლის მთავრობამ დაითხოვა პარლამენტი. მუსტაფა ქემალფაშა ახალ არჩევნებს ნიშაავს სივასში.

◆ განახლდა სომხური გაზეთი „მშაკი".

◆ პარიზიდან, გარეშე საქმეთა სამინისტროში მიღებულია ფოსტა, რომელშიც ბევრი წერილები და კორრესპონდენციები კერძო პირების მისამართითაა გამოგზავნილი. წერილების და კორრესპონდენციების მიღება შეიძლება გარეშე საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებაში.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ანფიმოვი.

◆ სპარსეთის კონსულმა მიიღო თავის თავზე საქართველოში ადერბეიჯანელების ქვეშევრდომების ინტერესების დაცვა.

◆ რუსთა ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტში ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლად დაინიშნა ა. პაპავა.

◆ ქალაქის თვითმართველობის ყოველგვარი თავისუფალი თანხა, ქალაქის გამგეობის დადგენილებით, უნდა შეტანილ იქნას კოოპერატივთა ბანკში.

◆ ქალაქის მოურავის განკარგულებით 15 ამა მაისიდან ყოველგვარი თხოვნები, გამგეობის სახელზე უნდა იწერებოდეს სახელმწიფო ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თხოვნები განხილული და ყურადღებული არ იქნება.

რკინის გზაზე

საქართვ. რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით შესდგა რკინის გზის დამცველი განსაკუთრებული კომიტეტი.

კომიტეტის შემადგენლობა: გზათა უფროსი ინჟ. კანდელაკი, ექსპლოატაციის უფროსი გ. ა. აბელიშვილი, ცენტრ. პროფ. კავშირის თავმჯდომარე ნ. ბერეჟიანი, და კავშირის წევრნი გძელიშვილი და ნასიძე. მთავრობამ შემდეგი შინაარსის ინსტრუქცია მისცა მთავრობას:

1. საქართ. რესპუბლიკის რკ. გზის ტერიტორიაზე და ფოთის პორტში შექმნილ განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო, შემოღებულია თავდაცვის განსაკუთრებული წესები და შესდგა რკინის გზის განსაკუთრებული კომიტეტი.

2. კომიტეტის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს რკინის გზებზე ნორმალურ მოძრაობას, რისთვისაც უნდა დაიცვას წესრიგი რკინის გზებზე და ფოთის პორტში.

3. ზემოაღნიშნულის ცხოვრებაში გასატარებლათ კომიტეტს უფლება ეძლევა:

ა) გამოსცეს სავალდებულო დადგენილება.

ბ) სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დააპატიმრონ 3 თვით, ან დააჯარიმონ 10 ათას მანეთამდე ადმინისტრატიული წესით სასამართლო დაწესებულებებში საქმის გადაუცემლათ.

გ) დახუროს რკინის გზ. საზღვრებში მოთავსებული სავაჭრო დაწესებულებანი დროებით ან თავდაცვის წესების მოქმედების დროს.

დ) აუკრძალოს კერძო პირებს რკინის გზის რაიონში ცხოვრება და სულ გააძევოს რკ. გზ. საზღვრებიდან.

ე) შეაიარაღოს საჭიროების და მიხედვით რკინ. გზ. აგენტთა ნაწილი.

4. რკინ. გზ. დაცვის განსაკუთრებული წესების მოქმედების დროს მილიციას ემორჩილება კომიტეტი;

5. მთავარი კომიტეტი იმყოფება ტფილისში და შესდგება 5 წარმომადგენლისაგან: სამი ცენტრ. პროფ. კავშირიდან და ორი რკინის გზის ადმინისტრაციიდან.

6. რკ. გზ. კომიტეტს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს პირადი მოხსენება გაუკეთოს რესპუბლიკის დაცვის საბჭოს თავმჯდომარეს.

7. განსაკუთრებულ წესების მოქმედების დროს, ქვემოთ აღნიშნული დანაშაული, მომხდარი რკინ. გზ. საზღვრებში და ფოთის პორტში, სამხედრო სასამართლოს გადაეცემა.

ა. სახელმწიფო ღალატი და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება;

ბ. განზრახული ცეცხლის გაჩენა, მოძრავ შემადგენლობის, ხიდების, შენობების, ტელეგრაფის, ტელეფონის და სხვა ნიშნების დაზიანება, რომლებიც აუცილებელია რკინის გზაზე და ზღვაზე მოძრაობისთვის.

გ. რკინის გზის აგენტებისა და სამხედრო სადარაჯოს და აგრეთვე რკ. გზ. მილიციის თავდასხმა, შეიარაღებული წინააღმდეგობა ან მათი მოკვლა მოვალეობის ასრულების დროს.

8. თავდაცვის კომიტეტის მოქმედება უქმდება თავდაცვის განსაკუთრებული წესების მოხსნის შემდეგ ან თავდაცვის საბჭოს განკარგულებით.

შემოწირულება

მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციამ მიიღო შემოწირულება სოფ. წაღვერიდან 4065 მან., სია შემომწირველთა: ელისაბედ მღებრიშვილისა—300 მ., გ. სალარიძემ 350 მ., სანდრო გიკაევმა და დარო სალარიძისამ თითომ 250 მ., ვარდენ კიკნაძემ 200 მან., ყარამან ფილიშვილმა, ილია თედიაშვილმა, გიორგი გვარამაძემ, ვასილ ფალიევმა, ა. ხეჩინიშვილმა, ანტონ გოგოლაძემ, ვანო გვარამაძემ, გიორგოვამ, ლევანტი მახათაძემ, ლადო ნოზაძემ, ვასო კაჭუნაშვილმა, ელენე ხაჩიძემ თითომ 100 მან., ზაქარ სასინიძემ 75 მან., კარპო ბასილაშვილმა—60 მან., ანდრო თედიაშვილმა, ზაქა ფილიშვილმა, ვოლფმა, ა. ყაუხჩიშვილმა, შალვა კიკნაძემ, სარდო გელაშვილმა, ტერ-ისრაილიანმა, ანნა ნოზაძემ, პავლე მარტირენკომ, ლადო მანჯვალაძემ, გერასიმე ხაჩიძემ, კიმოთე კაჭუნაშვილმა, ლაზრო კაჭუნაშვილმა, ვიაზო სანაყაშვილმა, მიტრო ქოჩიშვილმა, ილია ლიჩელმა, გიო პაქსაშვილმა, გიორგი პრბოლიშვილმა, ერმონია თედიაშვილმა, ელიზბარ ლომიძემ, ანდრო ტასოშვილმა, ლექსო სანაკაშვ., სვიმონ ლოლაძემ—თითომ 50 მან. მღვ. იოანნე სარალიძემ 25 მან., მიხა კაჭუნაშვილმა 23 მან., ნინო გელაშვილმა და ზაქარ ბეშკინაძემ თითომ 30 მ. პ. უცნობმა, სანდრო ჯაყოშვილმა, ქეთო გელაშვილმა, ვანო თედიაშვილმა, თითომ 20 მან., ნიკოლა გოგოლაძემ 14 მან. X-მა, სოლო გელაშვილმა, გიგო ხარებაშვილმა თითომ 5 მან., ალექსანდრე მაყაშვილმა და არხიპო გელაშვილმა, თითომ 10 მან., ნიკო გელაშვილმა 2 მ. და სოფელში ყველაზე შეძლებულმა დიდმა გლახო გელაშვილმა მხოლოდ 3 მან.

სულ რედაქციამ მიიღო დღემდე შემოწირულება 58.970 მანეთი. ფული გადაეცა მთავარ კომიტეტს, რომლიდანაც მიიღო ფულის მიღების საბუთები:

1)	კვიტანცია	№ 6—10.000	მან.,
2)	„	№ 14— 3.000	„
3)	„	№ 1—12.000	„
4)	„	№ 21— 3.800	„
5)	„	№ 12—26.105	„
6)	„	№ 4— 4.065	„
		სულ . .	58.105 მან.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

კახეთის რკინის გზაზე

მატარებლების მიმოსვლა 15 მაისიდან 1920 წლისა

ტფილისი—თელავი

მატ. № 4 ტფილისიდან გადის დილის 8. საათზე და 30 წ.

„ № „ თელავში მიდის ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე.

თელავი—ტფილისი

მატ. № 3 თელავიდან გამოდის დილის 8 საათზე.

„ № „ ტფილისში მოდის ნაშუადღევის 4 ს. და 30 წ.

გურჯაანი—წნორის წყალი

მატ. № 6 გურჯაანიდან გადის ნაშუადღევის 3 ს. და 15 წ.

„ № „ წნორის წყალში მიდის ნაშუადღევის 4 ს. და 15 წ.

წნორის-წყალი—გურჯაანი

მატ. № 5 წნორის წყლიდან გამოდის დილის 8 ს. და 20 წ.

„ № „ გურჯაანში მოდის დილის 9 ს. და 20 წ. 498 3—1

ივანე ისაკის ძე მალაციძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან, ნავთის მოთხოვნილებები და პურის ბარათი, მიღებული რკინის გზიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 983 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3479. მართა ესტატეს ასული თარხანიშვილის სახელზე, მიღებული ფინანსთა სამინისტროს საერთო განყოფილებისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 984 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3478 ვერა ივანეს ასული ცეხონოვსკის სახელზე, მიღებული ფინანსთა სამინისტროს სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 985 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი № 175 მიცემული სოხუმის ოლქ. სამმართვ. გუდაუთ. უბნიდან კონსტანტინე კირილეს ძე ბორგანჯიას სახელზე 1917 წ. ივლისის 4-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 883 3—1

დაკარგულია მოწმობა, მიღებული სარეგისტრაციო საავტომობილო კომისიისაგან 18 ნოემბერს 1919 წ. № 209 ავტომობილისა „ნეპირი"-ს შესახებ № 528. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 933 3—4

დაიკარგა მოწმობა № 97, მოცემული რაჭის სახალხო გვარდიისაგან: 12 სექტემბრის 1919 წ. „კოზიხოხის წვერზე" დენიკინის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების შესახებ. 2) ნებართვა რევოლვერი „ნაგანის" ტარებისა № 27218. გაუქმებულათ ჩაითვალოს. დავით სარდიონის ძე კობახიძე. 892 3—1

ალექსანდრე ივანეს ძე ალექსი-მესხიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული 1901 წლ. ოქტომბრის 6-ს № 2141 მამულზე, რომელიც მდებარეობს ს. ქვიშხეთში, ტფილ. გუბ. მაზრა და რომელიც შეიცავს შენობებს ეზოთი და ბაღით ზომ. დაახლ. 1 დეს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 977 3—1

დაიკარგა ერასტო ანდრიას ძე დანელიას მიერ მარტვილის გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა, მიღებული ამავე გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1

ვექილობა, მიცემული აბელ გრიგოლის ძე ყაზაროვის მიერ ტივრან ვარლამის ძე ტერ-ოგანეზოვზე და დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1919 წ. გიორგობისთვის 12-ს № 6026 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 949 3—1

იასონ ამბაკოს ძე თავდიდიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1. საპენსიო წიგნაკი, მიღებული ტფილისის ქალ. გამგეობიდან 1919 წ. № 27. 2. პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული რკინის გზის სამმართველოდან № 22344. 3. პირადობის მოწმობა, მიღებული ნიგოითის საზოგადოების კომისარისგან. 4. ვინტოვკის ტარების ნებართვა. აღნიშნული საბუთ-ბი გაუქმებულათ ჩაითვალოს, 939 3—1

დაკარგულია პაის წიგნაკი № 425, მიღებული კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოებიდან ალექსი ვასილის ძე ბაევის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 932 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1, მიღებული ტფილისის სამეჯნო საკრებულოდან მეჩისლავ-ცეზარ კონსტანტინეს ძე ვიშნევსკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

დავკარგე პირადობის მოწმობა № 21158 ვლადიმერ ექვთიმეს ძე მონიავას სახელზე მიღებული საქ. რეს. რკინის გზის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1043 3—1

სამსონ გრიგორის ძე ვალიხოვსკი აცხადებს, რომ მას დაეკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სოხუმის ქალაქის კომისრისაგან 11 თებერვ. 1920 წ. № 34. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1046 3—1

დაიკარგა სამი სულის სასურსათო წიგნაკი № 4325 ვარლამ ჩიკვაიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1036 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველოდან გაცემული მოწმობა 1919 წ. 13/XI გაბრიელ დავითის ძე ლეშკაშელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1035 3—1

დაიკარგა პასპორტი მიცემული მაისში 1919 წ. ბაქოს მე-2 საპოლიციო უბნიდან ნიკოლოზ სამუელის ძე ანტონოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 993 3—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სამხედრო აღრიცხვის სამმართველოს სამნეო ნაწილის გამგისაგან № 278 ალექსანდრე შიოს ძე ალემბარაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 969 3—1

დაიკარგა თელავის ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული პასპორტი № 1680 გრიგოლ არტემის ძე ავეტიკოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1037 3—1

დაიკარგა პასპორტი ეკატერინე დარჩიოვის ასულის სახელზე, მიღებული გორის ქალ. თვითმართველობიდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1044 3—1

დავკარგე ნასყიდობის სიგელი, მოცემული ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან 1920წ, № 2 ნაწილის № 192 ფურცელი 495, 497. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ოქროყანის ქუჩა №5 იოსეფ სოლომონის ძე მოსულიშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 995 3—1

დაიკარგა საბინაო წიგნი ქალთა მეშვიდე გიმნაზიისა, რომელიც მდებარებს მესამე სამილიციო უბანში. წიგნი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 982 3—1

სარქის მელიქის ძე ყასაბიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ს. ფაშა-ქენთის ახალბაიაზეთის მაზრ., ერევნის გუბ. სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 961 3—1

პასპორტი № 349, მიღებული სომხეთის დიპლომატიურ მისიის საკონსულო განყოფილებიდან 1920 წ. თებერვლის 24-ს ალექსანდრე მიკირტიჩის ძე დილონიანცის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება. 958 3—1

1920 წ. მარტის 30-ს დაკარგული სასურსათო წიგნაკები № 16031 5 სულის და № 2086 6 სულის, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 987 3—1

დაიკარგა ავლაბრის მე-5 ფერმა № 9. მდებარე ივანე ზაქარიას ძე კანდელაკის სახლის საბინაო დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1032 3—1

დაიკარგა მოწმობა სვიმონ ალექსანდრეს-ძე ქარუმიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1056 3—2

დაიკარგა პარეშნის შესახვ. № 4. მდებარე ალესკეროვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 981 3—3

დაიკარგა პასპორტი ლევ ნატანის ძე იოფფეს სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 991 3—3

დაიკარგა მატრიკული № 679 მარიამ ესტატეს ასული ალექსიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1021 3—3

პავლე ანთიმოს ძე კობახიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, სამსახურის ნუსხა და სიმინდის დუბლიკატი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 495 3—2

გიორგი ნიკოლოზის ძე ჭაჭიაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის მოწმობა, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 999 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ანთიმოზ ბურდილაძის სახელზე, მიღებული ტფ. სახ. უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 986 3—2

დაიკარგა 6 სულის სასურსათო ბარათი № 21004 რომანოზ ბაკურაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 989 3—2

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**